



*კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი  
ევრაზიის ფონდის პროგრამა*

მონაცემთა ინიციატივა 2007

---

**ინსტრუქციები ინტერვიუებისათვის**

**შინამეურნეობების შერჩევის ინსტრუქციები**

საველე სამუშაოების ჩატარების დროს ინტერვიუების მუშაობა სასურველია არასამუშაო საათებში – საღამოობით და შაბათ-კვირას.

თითოეული ინტერვიუერი ზედამხედველისგან მიიღებს იმ შინამეურნეობების მისამართებს, სადაც ის უნდა მივიდეს ინტერვიუს ჩასატარებლად. ჩვენი კვლევის დროს დამატებითი სიების გამოიყენება დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობაში გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩატარება, ეს ფიქსირდება ინტერვიუერის მიერ არბამოპასუხების ფორმაში, რომელიც მოთავსებულია კითხვარის ორივე ნაწილის თავფურცელის ბოლოს. ამ ფორმის შევსება სავალდებულოა ინტერვიუს არ ჩატარების ყველა შემთხვევაში, როგორც საბოლოო არგამოპასუხების შემთხვევაში (მაგ., რესპონდენტებთან კავშირის დამყარების შეუძლებლობა, რესპონდენტის უუნარობა, უარი ინტერვიუში მონაწილეობაზე), ასევე მაშინ, როდესაც ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა ამ კონკრეტული ვიზიტის დროს. **არასოდეს არ წამოხვიდეთ** შინამეურნეობიდან ამ ფორმის შევსების გარეშე, მიუხედავად იმისა, ჩატარდა ინტერვიუ თუ არა, და ასევე არასოდეს არ წამოხვიდეთ ინტერვიუს ჩატარების ყოველი მცდელობის თარიღის და ვადის დაფიქსირების გარეშე კითხვარების თავფურცელზე. ეს მოთხოვნა ერთნაირად ეხება კითხვარის ორივე ნაწილს.

არბამოპასუხება შეიძლება დაფიქსირდეს როგორც შინამეურნეობის, ასევე ინდივიდუალური კითხვარის დონეზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არბამოპასუხება ფიქსირდება შინამეურნეობის კითხვარის დონეზე, **არ სცადოთ** ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარება –

ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარება დაუშვებელია შეუვსებელი შინამეურნეობის კითხვარის შემთხვევაში და ასეთი კითხვარის აღმოჩენისას იგი უვარგისად ჩაითვლება. მეორე მხრივ, თუ შევსებულია შინამეურნეობის კითხვარი, არბამოპასუხება დასაშვებია ინდივიდუალური კითხვარის დონეზე. შევსებული შინამეურნეობის კითხვარი (იმ პირობით, თუკი იგი ხარისხიანადაა შევსებული) ჩაითვლება ვარგისად მაშინაც კი, თუ ამ შინამეურნეობაში ინდივიდუალური კითხვარის დონეზე არბამოპასუხებაა დაფიქსირებული.

## 1. შინამეურნეობის შერჩევა, თუ მოცემულ მისამართზე რამდენიმე შინამეურნეობა ცხოვრობს

შერჩევაში მოხვედრილ შინამეურნეობებში მისვლისას ინტერვიუერმა პირველ რიგში უნდა იკითხოს: „რამდენი შინამეურნეობა ცხოვრობს ამ საცხოვრებელ ადგილას?“

თუ ამ საცხოვრებელ ადგილას ერთზე მეტი შინამეურნეობა ცხოვრობს, ჰკითხეთ აქ მცხოვრები ყოველი შინამეურნეობის უფროსის დაბადების დღის შესახებ და ჩაატარეთ ინტერვიუ(ები) იმ შინამეურნეობაში, რომელი შინამეურნეობის უფროსსაც ყველაზე ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე. თუ ეს შინამეურნეობა რაიმე მიზეზის გამო უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, **არ სცადოთ** ამ მისამართზე მცხოვრები სხვა შინამეურნეობის გამოკითხვა, არამედ დააფიქსირეთ არბამოპასუხება.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ადგილას მცხოვრები შინამეურნეობების უფროსების ბოლო დაბადების დღეები ერთმანეთს ემთხვევა ააგდეთ მონეტა და ამგვარად განსაზღვრეთ რომელ შინამეურნეობაში ჩაატარებთ ინტერვიუს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ ეს შინამეურნეობა რაიმე მიზეზის გამო უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ან ამ შინამეურნეობაში შესაძლებელი არ იქნება ინტერვიუს ჩატარება რაიმე სხვა მიზეზით, **არ სცადოთ** ამ მისამართზე მცხოვრები სხვა შინამეურნეობის გამოკითხვა, არამედ დააფიქსირეთ არბამოპასუხება.

თუ შინამეურნეობების უფროსების დაბადების დღეები ერთმანეთს ემთხვევა, ააგდეთ მონეტა და ასე შეარჩიეთ ის შინამეურნეობა, სადაც ჩატარდება ინტერვიუ. ისევე როგორც წინა შემთხვევაში, თუ ეს შინამეურნეობა რაიმე მიზეზის გამო უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ან ამ შინამეურნეობაში შესაძლებელი არ

იქნება ინტერვიუს ჩატარება რაიმე სხვა მიზეზით, **არ სცადოთ** ამ მისამართზე მცხოვრები სხვა შინამეურნეობის გამოკითხვა, არამედ დააფიქსირეთ არბამოპასუხება.

## 2. რესპონდენტის (რესპონდენტების) შერჩევა შინამეურნეობის ინტერვიუსათვის

შინამეურნეობის ინტერვიუში მონაწილეობის მიღება შეუძლია შინამეურნეობის ერთ ან ორ სრულწლოვან წევრს, რომლებიც ყველაზე კარგად არიან ინფორმირებულები ოჯახის მდგომარეობის (მათ შორის, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის) შესახებ. ყურადღებით შეისწავლეთ შინამეურნეობის კითხვარის თავფურცელში მოთავსებული ინსტრუქციები და ზედმიწევნით შეასრულეთ ისინი.

შინამეურნეობაში თქვენი ყოველი ვიზიტის თარიღი და დრო (საათი და წუთი) დაფიქსირებული უნდა იყოს კითხვარის თავფურცელზე, ცვლადებში V7, V8 და/ან V9, ისევე როგორც ინტერვიუს არ-ჩატარების მიზეზი ყოველ ასეთ შემთხვევაში დაფიქსირებული უნდა იყოს არბამოპასუხების ფორმაში (ცვლადები NR1, NR2 და/ან NR3, მოცემულ შინამეურნეობაში განცორციელებული ვიზიტების რაოდენობიდან გამომდინარე).

საბოლოო არბამოპასუხების დაფიქსირებამდე თქვენ **სამჯერ** უნდა მიხვიდეთ შინამეურნეობაში.

თუ შინამეურნეობის ინტერვიუს რესპონდენტი (რესპონდენტები) უარს იტყვის (უარს იტყვიან) გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ან მისი/მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას შეუძლებლებს ხდის, თქვენ უნდა დააფიქსიროთ ეს სიტუაცია კითხვაში NR1, NR2 და/ან NR3 (მოცემულ შინამეურნეობაში განცორციელებული ვიზიტების რაოდენობიდან გამომდინარე). ასეთ შემთხვევაში **არ დაუსვათ** კითხვა **L1**.

თუ საცხოვრებელი დაკეტილი იყო შინამეურნეობაში თქვენი პირველი ვიზიტის დროს, თქვენი მეორე ვიზიტი ამ შინამეურნეობაში უნდა მოხდეს სხვა დღეს და დღის სხვა მონაკვეთში (სასურველია არასამუშაო საათებში). დატოვეთ წერილი რესპონდენტისადმი, სადაც მითითებული იქნება თქვენი ტელეფონის ნომერი, და სთხოვეთ შინამეურნეობის ვიზიტს, დაბიკავშირდნენ. თუ ამის საშუალება იქნება, ჰკითხეთ მეზობლებს, თუ როდის შეიძლება ამ

ოჯახის წევრების ნახვა სახლში. თუ საცხოვრებელი ისევ დაკეტილი დაგხვდათ შინამეურნეობაში თქვენი მეორე ვიზიტის დროს, მესამედ ესტუმრეთ ამ შინამეურნეობას მეორე ვიზიტიდან 3-4 დღის შემდეგ (თუ ეს შესაძლებელია სავსელე სამუშაოების ვადებიდან გამომდინარე), შეძლებისდაგვარად – არასამუშაო დროს.

თუ შინამეურნეობაში თქვენი პირველი ვიზიტის დროს საცხოვრებელი არ იყო დაკეტილი, მაგრამ თქვენ ვერ ნახეთ ოჯახში ის ადამიანი, რომელიც შეძლებდა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებას (მაგ., სახლში მხოლოდ ოჯახის არასწრულწლოვანი წევრი იყო), იკითხეთ, თუ როდის ჯობია დაბრუნება ინტერვიუს ჩასატარებლად. თუ გირჩევენ იმავე დღეს დაბრუნებას, მაშინ ეს დასაშვებია.

თუ შინამეურნეობის ინტერვიუს ჩატარების პროცესში თქვენ აღმოაჩინეთ, რომ თქვენი რესპონდენტი (რომელმაც განაცხადა, რომ კარგად არის ინფორმირებული ოჯახის მდგომარეობის შესახებ) სინამდვილეში არ არის კარგად გარკვეული ოჯახში არსებული მდგომარეობის შესახებ, ზრდილობიანად სთხოვეთ შინამეურნეობის სხვა წევრთან გასაუბრება, რომელიც თქვენს რესპონდენტზე უკეთაა გარკვეული ოჯახის მდგომარეობაში.

თუ რესპონდენტი (რესპონდენტები) შეწყვეტს (შეწყვეტენ) ინტერვიუს **A13** კითხვამდე და შინამეურნეობის არც ერთი წევრი, რომელიც კარგად არის ინფორმირებული ოჯახის მდგომარეობის შესახებ, არ დათანხმდება ინტერვიუს გაგრძელებაზე, თქვენ უნდა დააფიქსიროთ არბამოკპასშხმბა შინამეურნეობის ინტერვიუს დონეზე და ასევე შეწყვიტოთ ინდივიდუალური ინტერვიუ, თუ ის უკვე დაწყებულია.

### 3. რესპონდენტის შერჩევა ინდივიდუალური ინტერვიუსათვის

ინდივიდუალური ინტერვიუსათვის ჩვენ ვარჩევთ ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელსაც ოჯახის წევრებიდან ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე. თუ ეს ადამიანი არ არის სახლში, ან არ სცალია, გაიგეთ, თუ როდის იქნება იგი სახლში ან როდის ექნება დრო, და კიდევ ერთხელ მიდით ამ შინამეურნეობაში. თუ თქვენ შეიტყვეთ, რომ სასურველი რესპონდენტი არ იქნება ერთი კვირის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში (მაგალითად, ის გამგზავრებულია ქალაქიდან/სოფლიდან), არ დაელოდოთ მის დაბრუნებას კვირაზე მეტხანს, დააფიქსიროთ არბამოკპასშხმბა კითხვებში NR6 ან NR7 (მოცემულ შინამეურნეობაში ვიზიტების რაოდენობის

გათვალისწინებით) და მისდით ინდივიდუალური კითხვარის თავფურცელის პირველ გვერდზე მოთავსებულ ინსტრუქციას. შეცვალეთ შინამეურნეობის წევრი ინდივიდუალური ინტერვიუს ჩასატარებლად (V16).

თუ შინამეურნეობის წევრი, რომელიც თავდაპირველად იქნა შერჩეული ინდივიდუალური ინტერვიუსათვის, გამგზავრებულია ხანგრძლივი დროით, ან თუ მან არ განაცხადა უარი ინტერვიუს ჩატარებაზე, მაგრამ ვერ მოხერხდა მასთან ინტერვიუს ჩატარება პირველი ვიზიტის შედეგად, თქვენ **კიდევ ერთხელ** უნდა ეწვიოთ ამ შინამეურნეობას ამ ადამიანთან ინტერვიუს ჩატარების მცდელობით (სულ უნდა გააკეთოთ **ორი** ასეთი მცდელობა). თუ ორი მცდელობის შემდეგ მაინც ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩატარება შინამეურნეობის წევრთან, რომელიც თავდაპირველად იქნა შერჩეული ინდივიდუალური ინტერვიუსათვის, დააფიქსირეთ არგამოპასუხება კითხვაში NR6 ან NR7 (მოცემულ შინამეურნეობაში ვიზიტების რაოდენობის გათვალისწინებით). ისევე როგორც შინამეურნეობის კითხვარის შემთხვევაში, თქვენი **ყოველი** ვიზიტი შინამეურნეობაში დააფიქსირებული უნდა ინდივიდუალური კითხვარის თავფურცელში, ცვლადებში V14 და/ან V15 (მოცემულ შინამეურნეობაში ვიზიტების რაოდენობის გათვალისწინებით).

თუ შინამეურნეობაში მეორე ვიზიტის დროს მაინც ვერ შეძლებთ ოჯახის ამ წევრთან ინტერვიუს ჩატარებას, მისდით ინდივიდუალური კითხვარის თავფურცელში მოთავსებულ ინსტრუქციას (V16) და შეცვალეთ შინამეურნეობის წევრი ინდივიდუალური ინტერვიუსათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაშიც, თუ რესპოდენტმა, რომელიც თავდაპირველად შეირჩა ინდივიდუალური ინტერვიუსთვის, მაშინვე უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ან ვერ შეძლებს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებას (მაგ., ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო), ან შეწყვიტა ინტერვიუ **J1** კითხვამდე.

თუ ამ (ახალ) რესპოდენტთანაც ვერ ხერხდება ინტერვიუს ჩატარება, დააფიქსირეთ საბოლოო არბამოპასუხება ინდივიდუალური ინტერვიუს დონეზე (კითხვებში **NR9** და **NR10**).

თუ ინდივიდუალური ინტერვიუს რესპოდენტ(ებ)ი უარს განაცხადებენ ინტერვიუში მონაწილეობაზე, ან ვერ მიიღებენ მონაწილეობას გამოკითხვაში რაიმე სხვა მიზეზის გამო, დააფიქსირეთ ეს შემთხვევა (შემთხვევები) კითხვაში (კითხვებში)

**NR6, NR7** ან **NR9** (მოცემულ შინამეურნეობაში ვიზიტების რაოდენობის გათვალისწინებით). ასეთ შემთხვევებში არ დაუსვათ კითხვები **L2** და/ან **L3**.

4. შინამეურნეობის და ინდივიდუალური ინტერვიუების პარალელურად ჩატარების შესაძლებლობა

საველე სამუშაოების ოპტიმიზაციის მიზნით, დასაშვებია შინამეურნეობის და ინდივიდუალური ინტერვიუების პარალელურად ჩატარება იმ შინამეურნეობებში სადაც ამის შესაძლებლობა იქნება (მაგ., შინამეურნეობებში, სადაც შინამეურნეობის წევრი, რომელსაც ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე, არ იღებს მონაწილეობას შინამეურნეობის ინტერვიუში და ორივე პოტენციური რესპონდენტი სახლში იმყოფება).

მას შემდეგ, როდესაც მიიღებთ შინამეურნეობის თანხმობას ინტერვიუში მონაწილეობაზე და შინამეურნეობის ინტერვიუს რესპონდენტი (რესპოდენტები) მზად არის (არიან) კითხვებზე პასუხების გასაცემად, შინამეურნეობის ინტერვიუს დაწყებამდე ინტერვიუერმა, რომელიც ატარებს ინდივიდუალურ ინტერვიუს, უნდა დაუსვას მას (მათ) **F1** კითხვა (იხილეთ შინამეურნეობის კითხვარის თავფურცელი) და მისდიოს ამ კითხვის შემდეგ მოყვანილ ინტრუქციებს. შინამეურნეობის და ინდივიდუალური ინტერვიუების პარალელურად ჩატარება დაზოგავს შინამეურნეობის წევრების დროს და შეამცირებს არბამოკაასუხებას. **არ დაიწყეთ** ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარება, სანამ არ დარწმუნდებით შინამეურნეობის წევრების მზაობაში, მონაწილეობა მიიღონ შინამეურნეობის ინტერვიუში (როგორც უკვე ავლნიშნეთ, ინდივიდუალური ინტერვიუ იმ შინამეურნეობაში, სადაც არ მოხერხდება შინამეურნეობის ინტერვიუს ჩატარება, უვარგისად ჩაითვლება).

ინტერვიუს ორივე ნაწილის დასრულებისთანავე შევასეთ ინდივიდუალური კითხვარის ბოლო გვერდი (**F2** და/ან **F4**) და ინდივიდუალური ინტერვიუს თავფურცელი შინამეურნეობის კითხვარის **A1** ცრილიდან ინფორმაციის გამოყენებით.

## ზოგადი დებულებები

2007 მონაცემთა ინიციატივის კითხვარი შედგება ორი ნაწილის - შინამეურნეობის და ინდივიდუალური კითხვრისაგან. თითოეული ეს ნაწილი არის დაბეჭდილი ცალკეულ ბროშურად, დამატებით, თითოეულ მათგანს აქვს თავფურცელი, სადაც ჩაწერილია ინფორმაცია ოჯახების შესახებ, და ასევე მოიცავს შესაბამის არგამოპასუხების ფორმებს.

თითოეულ კლასტერში დაგეგმილია 50 ინტერვიუს ჩატარება, თუმცა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მოსალოდნელია არგამოპასუხების სხვადასხვა დონე, ამიტომ არ ველით, რომ თითოეულ კლასტერში ზუსტად 50 ინტერვიუ შეივსება. ინტერვიუებები უნდა ესტუმრონ ყველა შერჩეულ შინამეურნეობას ინტერვიუს ჩატარების მიზნით; თუ გარკვეული მიზეზით ეს შეუძლებელია, უნდა შეივსოს არგამოპასუხების ფორმები თითოეული შინამეურნეობისათვის, რომელშიც ინტერვიუების ყველა აუცილებელი ვიზიტის მიუხედავად ინტერვიუ მაინც ვერ ჩატარდა.

თითოეულ კლასტერში იმუშავებს ორი ინტერვიუერი, რომლებიც ერთად ესტუმრებიან შერჩეულ შინამეურნეობებს. შეძლებისდაგვარად, კითხვარის ორივე ნაწილი ერთდროულად უნდა შეივსოს. თუმცა, როდესაც ამის შესაძლებლობა არ არის, ერთი ინტერვიუერი ელოდება მეორეს ინტერვიუს დასრულებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერვიუს ერთი ნაწილი დასრულებულია შეინამეურნეობაში და ინტერვიუერი მეორეჯერ ან მესამეჯერ უნდა ესტუმროს შინამეურნეობას კითხვარის მეორე ნაწილის შესავსებად, მაშინ მხოლოდ ერთი ინტერვიუერი მიდის შეინამეურნეობაში.

კითხვარში, შეკითხვების ტექსტი (ე. ი. ტექსტი, რომლითაც რესპონდენტს მიმართავენ) არის დაბეჭდილი პატარა და მუქი ასოებით. წაიკითხეთ კითხვები, არ არის საჭირო მათი დაზეპირება. თქვენ მოგეთხოვებათ გამოიყენოთ სწორედ იმგვარი სიტყვათა წყობა როგორც გამოყენებულია კითხვარში ყველა რესპონდენტთან საუბრისას. როდესაც კითხვაში დაინახავთ ხაზგასმულ სიტყვას, კითხვის დასმისას განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეთ ამ სიტყვაზე.

თქვენ არ გაქვთ უფლება თავად აუხსნათ რესპონდენტს კითხვარში გამოყენებული არც ერთი სიტყვა, მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ხართ თქვენი ახსნის სისწორეში. როდესაც რესპონდენტი ვერ იგებს კითხვას, ნელა გაიმეორეთ შეკითხვა იგივე სიტყვათა წყობით, როგორც მოცემულია კითხვარში, მაგრამ არ სცადოთ არაფრის ახსნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს შედეგების შედარება.

ჩვენ არასდროს არ ვამოწმებთ რესპონდენტებს და არ ვცდილობთ მათ შეფასებას – ჩვენ გვსურს მხოლოდ მათი შეხედულებების შესწავლა. ასე რომ, ძალიან გთხოვთ დახმარება გაუწიეთ თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში და არ სცადოთ რაიმეს ახსნა.

კითხვარში მოცემულია დეტალური ინსტრუქციები, თუ რა უნდა გააკეთოთ თითოეულ შეკითხვასთან მიმართებაში. ეს ინსტრუქციები დაბეჭდილია მთავრული ასოებით და იწყება ფრაზით [ინტერვიუერის საყურადღებოდ!]

ხმამაღლა არ წაიკითხოთ ინტერვიუერის ინსტრუქციები, მაგრამ ზედმიწევნით შეასრულეთ ყველა ინსტრუქცია. თუ კითხვარს არ შეავსებთ შესაბამისი ინსტრუქციების დაცვით, კითხვარი ჩაითვლება უვარგისად.

კითხვარში, რესპონდენტების პასუხების კოდირებისათვის გამოიყენება რიცხვები ან ლათინური ანბანის ასოები. უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება რიცხვები, მაგრამ რიგ შემთხვევაში (რაც საჭიროა მონაცემთა შეყვანისათვის) რიცხვების ნაცვლად გამოიყენება ლათინური ასოები. თქვენ უნდა იმუშაოთ ასოებთან სწორედ იმგვარად, როგორც მუშაობთ რიცხვებთან, ე. ი. უბრალოდ შემოხაზოთ კოდი (ან კოდები, როცა საჭიროა) რესპონდენტის პასუხის (პასუხების) შესაბამისად.

რესპონდენტმა **არ** უნდა ჩაიხედოს კითხვარში არც ინტერვიუმდე და არც მისი მსვლელობისას თუ დასრულების შემდეგ. ის მხოლოდ ისმენს თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს. თუ რესპონდენტი გთხოვთ, თქვენ შეგიძლიათ გაიმეოროთ შეკითხვა ზუსტად იმავე სიტყვათა წყობით, როგორც კითხვარშია მოცემული; არანაირი ცვლილება სიტყვათა წყობაში არც ერთ შემთხვევაში არ არის ნებადართული. იმ შემთხვევაში, როცა ინსტრუქციის მიხედვით საჭიროა, რომ რესპონდენტმა თავად ნახოს პასუხის ვარიანტები, ჩვენ მომზადებული გვაქვს ბარათები, რომლებიც თქვენ შესაბამისი

კითხვის დასმის შემდეგ უნდა გადასცეთ რესპონდენტს და დაუტოვოთ მათ პასუხის არჩევამდე.

გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ რესპონდენტი არ იხედებოდა კითხვარში – მას არ უნდა მიეცეს საშუალება კითხვარი წაიკითხოს. იმისათვის რომ ეს უზრუნველყოთ, ისეთი ადგილმდებარეობა დაიკავეთ ინტერვიუს მსვლელობისას რომ თქვენს რესპონდენტს არ ჰქონდეს კითხვარში ჩახედვის შესაძლებლობა.

როდესაც კითხვარში წერია „აჩვენეთ ბარათი“, თქვენ გევალებათ აჩვენოთ რესპონდენტს ბარათი შესაბამისი კითხვის ნომრით. თქვენ ასევე შეგიძლიათ წაიკითხოთ ბარათში მოცემული ვარიანტები, იმ შემთხვევაში თუ ამას რესპონდენტი გთხოვთ. თუმცა გახსოვდეთ, რომ ვარიანტები „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ არც ერთ ბარათში არ არის მოცემული, ხოლო „სხვა“ მოცემულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (შინამეურნეობის კითხვარის ბარათები 2, 6, 10, 11, 18 და 19). შესაბამისად, როდესაც მოცემული არ არის ბარათებში, არასოდეს არ უნდა წაუკითხოთ ეს ვარიანტები. თქვენ არ შეგიძლიათ, არც ერთ ვითარებაში, შეცვალოთ ან დაამატოთ რაიმე იმას, რაც ბარათშია მოცემული. დაიმახსოვრეთ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოხდეს მონაცემთა ინიციატივის ფარგლებში ჩატარებული რამოდენიმე ათასი ინტერვიუს შედეგების შედარება.

ბარათის გამოყენების შემთხვევაში თქვენ უნდა დარწმუნდეთ რომ რესპონდენტი კითხულობს/უსმენს ბარათში ჩამოთვლილ ყველა ვარიანტს, და მხოლოდ ამის შემდეგ პასუხობს კითხვას. არ მიიღოთ რესპონდენტის პასუხი მანამ, სანამ იგი არ გაეცნობა ბარათში წარმოდგენილ ყველა შესაძლო ვარიანტს.

გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ არც ერთი რესპონდენტი არაფერს არ აღნიშნავს ბარათზე, ვინაიდან ბარათები არის მრავალჯერადი მოხმარების და ყოველთვის, როდესაც თქვენ გადასცემთ რესპონდენტს ბარათს, იგი უნდა იყოს სუფთა და მინაწერების გარეშე.

როდესაც კითხვარში წერია „წაიკითხეთ“, თქვენ მოგეთხოვებათ კითხვაში მოცემული ვარიანტების ხმამაღლა წაკითხვა, გარდა ვარიანტებისა „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“. რესპონდენტისგან პასუხის მიღებამდე წაუკითხეთ ყველა ვარიანტი. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ინსტრუქციაში წერია „წაიკითხეთ“, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ ერთი პასუხი. თუმცა, ყურადღებით

მისდით კითხვარში მოცემულ ინსტრუქციას და მიიღეთ თითოეული შეკითხვისათვის შესაბამისი ვარიანტების რაოდენობა. თუ კითხვარს არ შეაქვს შესაბამისი ინსტრუქციების დაცვით, კითხვარი ჩაითვლება უვარგისად.

კითხვარის ორივე ნაწილისთვის კოდი „98“ „არ ვიცი“-ს და კოდი „99“ „უარი პასუხზე“ შემთხვევებში იხმარება, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული კითხვარში. ეს ვარიანტები რესპონდენტებისათვის არ არის ცნობილი, არ არის მითითებული ბარათზე და არასოდეს არ უნდა წაუკითხოთ ხმამაღლა.

როდესაც რესპონდენტს სთხოვთ დაასახელოს გარკვეულ რაოდენობა (მაგ. შინაური ფრინველების რაოდენობა), ჩვენ გვინტერესებს ზუსტი რიცხვი და არა შუალედი. თუ რესპონდენტი ასახელებს შუალედს (მაგ., 15-20 წიწილა), სთხოვეთ დაგისახელოთ ერთი რიცხვი, თუნდაც მიახლოებითი. თქვენ არ შეგიძლიათ ჩაწეროთ შუალედი კითხვარში.

ყოველთვის, როდესაც კითხვარში მოცემულია [ქვეყანა], დაასახელეთ ის ქვეყანა, სადაც ტარდება ინტერვიუ, იმისდა მიუხედავად, თუ რა ენაზეა მოცემული კითხვარი.

ინტერვიუს შინამეურნეობის ნაწილის მსველობისას, თუ თქვენ ოჯახის ერთ წევრზე მეტს ეკითხებით, პასუხის ჩაწერამდე გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ არანაირ უთანხმოებას არ აქვს ადგილი ოჯახის ამ ორ წევრს შორის. ამ წევრებს შორის რაიმე უთანხმოების შემთხვევაში, მიეცით რესპონდენტებს დრო, რათა გაერკვნენ და შემოგთავაზონ საუკეთესო პასუხი, რომელსაც ორივე ეთანხმება.

ჩვენ გირჩევთ თან გქონდეთ კალკულატორი, ან გამოიყენოთ თქვენი მობილური ტელეფონის კალკულატორი.

## შინამეურნეობის კითხვარის თავფუცელი

### თავფუცელის პირველი გვერდი

ზედამხედველისგან თქვენ მიიღებთ კითხვარს, სადაც უკვე ჩაწერილი იქნება ზედამხედველის მიერ შესაყვანი ინფორმაცია. გთხოვთ შეავსოთ ყველა გრაფა, რომლებიც ინტერვიუერის მიერ უნდა იყოს შევსებული.

თქვენ გევალებათ ინტერვიუს ჩატარების ყველა მცდელობის თარიღისა და დროის ჩაწერა, არ აქვს მნიშვნელობა, ინტერვიუ ჩატარდა თუ არა.

შინამეურნეობაში პირველი სტუმრობის შემდეგ არგამოპასუხების შემთხვევაში, უპასუხეთ არგამოპასუხების ფორმის მხოლოდ კითხვა NR1-ს და მისდით ფორმის მომდევნო ინსტრუქციებს.

### **თავფურცელის მე-2 გვერდი**

ოჯახის წევრებთან მიმართვისას, თქვენ გევალებათ დაიხეპიროთ ეს ტექსტი იმ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, რომელშიც მუშაობთ.

### **კითხვა F1**

იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის ინტერვიუს რესპონდენტი (რესპონდენტები) განსხვავდება (განსხვავდებიან) ინდივიდუალური ინტერვიუს რესპონდენტისგან და ორივენი არიან სახლში, თქვენ შეძლებთ ორი ინტერვიუს ერთდროულად ჩატარებას. თუმცა, უზრუნველყავით, რომ ორი ინტერვიუ სხვადასხვა ოთახში ჩატარდეს. თუ ეს არ არის შესაძლებელი, პირველად ჩაატარეთ შინამეურნეობის ინტერვიუ და დაელოდეთ მის დასრულებას ინდივიდუალური ინტერვიუს დაწყებამდე.

სავარაუდოდ ორი ინტერვიუ ერთდროულად უპრობლემოდ უნდა ჩატარდეს საფლებში და პატარა ქალაქებში. თუმცა, დედაქალაქებში და დიდ ქალაქებში, უმეტეს შემთხვევაში ეს შეიძლება ვერ მოხერხდეს. შინამეურნეობაში პირველად სტუმრობისას, თუ აუცილებელია, შეეცადეთ შეათანხმოთ ინდივიდუალური ან ორივე ინტერვიუს ჩატარების თარიღი და დრო.

### **კითხვა L1**

ზედამხედველი წინასწარ მოგაწოდებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი ენები გამოიყენება თქვენს კლასტერში (პირველადი შერჩევის ერთეული). ამდენად, ამ კითხვის დასმისას, დაუსახელეთ მხოლოდ ის ენები, რომლებიც გამოიყენება თქვენს კლასტერში. ყველა კლასტერში ხელმისაწვდომია კითხვარები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე და რუსულ ენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის წევრი (წევრები) არც ერთ შეთავაზებულ ენა არ აარჩევს (აარჩევენ), სცადეთ დაადგინოთ მათი არჩევანი და დაწერეთ ეს ენა მოცემულ გრაფაში („სხვა ენა“). თუ შინამეურნეობის წევრი (წევრები) აარჩევს (აარჩევენ) ენას, რომელიც მოცემულია ჩამონათვალში, მაგრამ არ გამოიყენება თქვენს

კლასტერში, არ შემოხაზოთ შესაბამისი კოდი, არამედ ჩაწერეთ ენის დასახელება მოცემულ გრაფაში („სხვა ენა“).

თუ შინამეურნეობის წევრი (წევრები) გპასუხობს (გპასუხობენ) „არ ვიცი“, მაინც ჰკითხეთ თუ შეუძლიათ ინტერვიუში მონაწილეობის მიღება ქვეყნის ოფიციალურ ენაზე; შემდეგ სცადეთ – რუსულად. თუ ამ ენებედიან არც ერთი არ გამოდგება, ჩაწერეთ ნებისმიერი სხვა ენა, რომლითაც შეუძლიათ ინტერვიუში მონაწილეობის მიღება, გრაფაში „სხვა ენა.“

თუ შინამეურნეობის წევრი (წევრები) ამბობს (ამბობენ), რომ ენას არ აქვს მნიშვნელობა და შეუძლიათ ამ კლასტერში გამოყენებად ყველა ენაზე ინტერვიუში მონაწილეობის მიღება, გამოიყენეთ კითხვარი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე.

### **არგამოპასუხების ფორმა**

შეავსეთ ეს ფორმა არგამოპასუხების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში არ დაიწყოთ კითხვარის შევსება. შერჩევის ინსტრუქციების მიხედვით ესტუმრეთ სხვა შინამეურნეობას.

## **ნაწილი I: შინამეურნეობის კითხარი**

აუცილებლად გადმოიწერეთ ქვეყნის კოდი/შინამეურნეობის საიდენტიფიკაციო ნომერი შინამეურნეობის კითხვარის თავფურცელიდან. ეს არის ინტერვიუერის მოვალეობა და არა ზედამხედველის.

შინამეურნეობის კითხვარის რესპონდენტის (რესპონდენტების) შერჩევის შემდეგ შეეცადეთ დაჯდეთ წყნარ და კომფორტულ ოთახში. დარწმუნდით, რომ ოჯახის მხოლოდ ის წევრები იმყოფებიან ოთახში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შინამეურნეობის კითხვარის შევსებაში. მას შემდეგ რაც ყველა დასხდება, მოხერხებულად მოეწეობა, ინტერვიუს ჩატარების ენა განისაზღვრება და აღინიშნება თავფურცელის L1 კითხვაში, თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ინტერვიუ. ჩაწერეთ ინტერვიუს ჩატარების თარიღი (კითხვა T1) და დაწყების დრო (კითხვა T2).

## თავი ა: შინამეურნეობის ზოგადი მახასიათებლები

ოჯახის განმარტება: გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ამ თავის დასაწყისში მოცემული ოჯახის განმარტება და იხელმძღვანელოთ ამით მთელი ინტერვიუს განმავლობაში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამჟამინდელი მიგრანტები (ოჯახის ყოფილი წევრები, რომლებიც აღარ ცხოვრობენ ოჯახში) მოგვიანებით განიხილება. თუ ისინი არ ცხოვრობენ ოჯახთან ერთად ამჟამად, ჩვენ არ ვილაპარაკებთ მათზე ინტერვიუს დასაწყისში, კითხვამდე A25. აქ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ფიზიკურად არიან შინამეურნეობაში ინტერვიუს მსვლელობისას, ან 3 თვეზე ნაკლებია რაც წასულები არიან.

შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც შინამეურნეობა, სადაც ატარებთ ინტერვიუს, ეკონომიკურად მჭიდრო კავშირშია სხვა შინამეურნეობებთან, მაგრამ ეს შინამეურნეობები ერთად არ ცხოვრობენ (ყველზე უფრო „კლასიკური“ ვარიანტი შეიძლება იყოს სტუდენტი, რომელიც ცხოვრობს დიდი ქალაქში და მას ფინანსურად ეხმარებიან სოფელში მცხოვრები მშობლები). ჩვენი გამოკითხვის ფარგლებში, ეს არის ორი სხვადასხვა შინამეურნეობა, რადგან ისინი მოცემულ მომენტში ერთად არ ცხოვრობენ. ინფორმაცია შინამეურნეობის ასეთ წევრზე მოგვიანებით ჩაწერეთ **ცხრილში A2**.

### კითხვა A3:

თუ რესპონდენტი და/ან შინამეურნეობის წევრი დაიბადა ქვეყნის იმ რეგიონში ან ტერიტორიაზე, რომელიც არის პოლიტიკურად სადაო რეგიონი, შესაბამისი კოდის არჩევისას გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვეყნების დაყოფა საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

### კითხვები A4a - A23:

ამ შეკითხვებზე პასუხი უნდა ჩაიწეროს **A1 ცხრილის** შესაბამის სვეტში. ცხრილი უნდა შეივსოს რიგ რიგობით.

ოჯახის არც ერთი წევრი, რომელიც ამჟამად არ ცხოვრობს ოჯახში და 3 თვეზე მეტია წასული ოჯახიდან, არ შეიძლება ჩაწერილ იქნას ამ ცხრილში. რესპონდენტები თვითონ განსაზღვრავენ, თუ ვინ არის ოჯახის უზროსი, თუმცა უმთავრესი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ის, რომ ოჯახის ეს წევრი არის მთავარი მარჩენალი. თუმცა ეს არ არის სავალდებულო. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ გამოკითხვაში გამოყენებული ოჯახის უფროსის განმარტების თანახმად (რომელიც აუხსენით რესპონდენტს) ეს ადამიანი ამჟამად უნდა ცხოვრობდეს ოჯახში; თუკი არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც რესპონდენტი (რესპონდენტები) მიიჩნევს

(მიიჩნევენ) ოჯახის უფროსად, მაგრამ იგი ამჟამად არ ცხოვრობს ამ ოჯახში (3 თვეზე მეტია წასული), ეს ადამიანი არ შეიძლება ჩაწერილ იქნას ცხრილში როგორც ოჯახის უფროსი. აუხსენით რესპონდენტს (რესპონდენტებს), რომ მოგვიანებით მათ მიეცემათ საშუალება მოგიყვანენ ამ ადამიანის შესახებ, და სთხოვეთ შეარჩიონ ოჯახის უფროსი ოჯახში ამჟამად მცხოვრები წევრებიდან.

ამ შეკითხვებში (A4a-დან A23-ის ჩათვლით), ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელზეც ისაუბრებთ, თავად იქნება რესპონდენტი. ამ შემთხვევაში, მზად იყავით მიმართოთ მას „თქვენ“ ნაცვლად „ოჯახის ეს წევრი“ კითხვებში A4a-დან A23-ის ჩათვლით. არ შეიძლება არანაირი სხვა ცვლილება კითხვარის სიტყვათა წყობაში. ყურადღებით მისდიეთ ინსტრუქციებს, დასვით კითხვები ზუსტი თანმიმდევრობით და შეავსეთ A1 ცხრილი რიგ რიგობით. არ გადაახტეთ სვეტებს თუნდაც რესპონდენტი გთავაზობდეთ პასუხებს სხვადასხვა თანმიმდევრობით. სთხოვეთ მათ თანმიმდევრობით მისდიონ კითხვებს.

### **კითხვები A4a და A4b**

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი, სადაც ინტერვიუს ატარებთ, შედგება ერთი ადამიანისგან, თქვენ დაუსვამთ მხოლოდ A4a კითხვას. თუ შინამეურნეობაში ერთ ადამიანზე მეტია, პირველ რიგში თქვენ უნდა ჰკითხოთ A4a, მთელი ინტერვიუს მსვლელობისას მხოლოდ ერთხელ, და შინამეურნეობის სხვა წევრებზე საუბრისას, თქვენ უნდა დაუსვათ A4b კითხვა იმდენჯერ, რამდენი წევრიც არის ოჯახში, ოჯახის უფროსის გამოკლებით.

ოჯახის უფროსი წინასწარ არსი კოდირებული კითხვარის A1 ცხრილში, ასე რომ თქვენ უნდა გამოტოვოთ A5 კითხვა ოჯახის უფროსისთვის, მაგრამ ეს კითხვა უნდა დაუსვათ ოჯახის ყველა სხვა წევრისათვის. ინფორმაცია ყველა გამოტოვების შესახებ მოცემულია კითხვარის ინსტრუქციებში.

### **ბარათი 2**

ამ ბარათში არ არის კოდი '1', რადგან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ოჯახის წევრის წინასწარ არის კოდირებული კითხვარის A1 ცხრილში. ეს ბარათი იწყება კოდი '2'-ით და ეს არ არის შეცდომა.

### **კითხვა A7**

ამ კითხვისთვის ჩვენ გვაქვს ბარათი (ბარათი 3), მაგრამ ეს ბარათი უნდა გამოიყენოთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებით, რომ

რესპონდენტი (რესპონდენტები) ვერ იხსენებს (იხსენებენ) შინამეურნეობის წევრის დაბადების წელს. გთხოვთ ყველანაირად სცადეთ რომ მიიღოთ დაბადების წელი, და ეს ბარათი გამოიყენეთ მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე ეხება **A28** კითხვას.

### **კითხვა A9**

გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ „დაქორწინებულისთვის” ვიყენებთ რამდენიმე კატეგორიას შესაბამის ბარათში (ბარათი 4) და ჩვენ გვსურს, რომ რესპონდენტმა გვითხრას, როგორ არის ის ან მისი ოჯახის წევრები დაქორწინებული. ასე რომ, არ მიიღოთ პასუხი „დაქორწინებული” და სთხოვეთ ამოარჩიონ „დაქორწინებულთან” დაკავშირებული ერთ-ერთი კატეგორია: ‘2’, ‘3’ ან ‘4’.

ვარიანტი ‘7’ (“დაშორებული”) ნიშნავს, რომ წყვილი ადრე დაქორწინებული იყო (ან სახელმწიფოს მიერ ან რელიგიური ცერემონიით ან ორივეთი ერთად), მაგრამ გადაწყვიტეს დაშორება ანუ ერთად აღარ ცხოვრობენ. დაშორებული არ ნიშნავს გაშორებულს და წყვილი შეიძლება ისევ შერიგდეს, მაგრამ ამ მომენტში ისინი ფაქტიურად არ არიან ქორწინებაში (თუმცა კანონით შეიძლება იყვნენ), არ შეადგენენ ერთ შინამეურნეობას და არ აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დაქორწინებული წყვილები შეიძლება ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ (მაგ: ერთ-ერთი მეუღლე არის მიგრანტი), მაგრამ რადგანაც ისინი დაოჯახებული არიან და იყოფენ შემოსავალს და ხარჯებს, ისინი ითვლებიან დაქორწინებულად.

### **კითხვა A10**

„უმაღლესი განათლებაში” (ვარიანტები ‘6’ და ‘7’) ჩვენ ვგულისხმობთ ნებისმიერ საშუალო სკოლის შემდგომ/საუნივერსიტეტო განათლებას, იქნება ეს „სპეციალისტი”, „ბაკალავრი” თუ „მაგისტრი”. თუმცა ეს განსხვავდება სამეცნიერო ხარისხისგან, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება მეცნიერებათა კანდიდატს ან მეცნიერებათა დოქტორს.

### **კითხვა A11**

„დასაქმებულში” ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ოფიციალურ სამსახურს, რომელიც ეფუძნება წერილობით კონტრაქტს დამქირავებელთან, არამედ შინამეურნეობის წევრის ნებისმიერ სამსახურს, რაც მოიცავს არაოფიციალურ მორიგებებსაც, რისთვისაც მას ფულს უხდიან. ამ კონტექსტში თვითდასაქმებაც განიხილება როგორც სამსახური, რადგან თვითდასაქმებული ადამიანი მუშაობს და ამაში იღებს გასამრჯელოს. ქუჩის მოვაჭრეები ან ბაზრობებზე დასაქმებულები განიხილებიან როგორც

დასაქმებულები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები, რადგანაც ამას მათთვის შემოსავალი მოაქვს.

**კითხვა A12**

ოჯახის ყველა წევრისათვის აუცილებელია კოდი ამ სვეტში. კითხვარის ინსტრუქციის მიხედვით იხმარეთ კოდი '1' რესპონდენტისათვის (რესპონდენტებისთვის) და კოდი '0' ოჯახის ყველა სხვა წევრისათვის.

**კითხვა A13**

ჩვენ გვაინტერესებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ოჯახის რომელი წევრი რომელზე არის დაქორწინებული. მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა შეივსოს შესაბამისი სვეტი.

წარმოიდგინეთ, რომ **A13** კითხვის დასმისას თქვენ გაქვთ ოჯახის წევრების შემდეგი სია:

**კითხვა A13:**

ნომერი	სახელი	ნათესაური კავშირი ოჯახის უფროსთან	სქესი	...	ოჯახური მდგომარეობა	...	მეუღლე
<b>AN1</b>	<b>A4</b>	<b>A5</b>	<b>A6</b>		<b>A9</b>		<b>A13</b>
1	დავითი	1	1		2		
2	ინა	2	2		2		
3	მიხეილი	3	1		4		
4	რომანი	3	1		3		
5	ბელა	6	2		4		
6	ნიკა	8	1		1		

ჩვენ ვიცით, რომ დავითი და ინა არიან მეუღლეები, მიხეილი და რომანი კი მათი შვილები, ბელა არის მათი რძალი, ნიკა კი მათი შვილიშვილი. ამას გარდა, ჩვენ ვიცით, რომ მიხეილიც და რომანიც დაქორწინებულები არიან, მაგრამ მხოლოდ ერთი რძალი არის ამ ოჯახში (მეორე შესაძლოა ემიგრაციაში იყოს). თუმცა, ჩვენ არ ვიცით, თუ რომელი ძმა არის ბელაზე დაქორწინებული. (და შესაძლოა სხვადასხვა ოჯახებში განსხვავებული შემთხვევები გვქონდეს.)

სვეტი A13 გვეხმარება ასეთ შემთხვევებში. აქ, ჩვენ ჩავწერთ მოცემულ მწკრივში ჩაწერილი ადამიანის მეუღლის ნომერს (AN1 სვეტიდან). რამდენადაც დავითის მეუღლე არის ინა, ჩვენ ვეძებთ

AN1 სვეტში ინას ნომერს, “2”, და ვწერთ ამ ნომერს A13 სვეტის იმ მწკრივში, სადაც დავითია ჩაწერილი. შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ, რომ დავითის ნომერი AN1 სვეტში არის “1”, და ვწერთ ამ ნომერს A13 სვეტის იმ მწკრივში, სადაც ინა არის ჩაწერილი (იხილეთ ქვემოთ მოცემული მაგალითი).

ჩვენ ვარკვევთ, რომ მიხეილი არის ბელაზე დაქორწინებული, და ბელას ნომერი AN1 სვეტში არის “5”, და ვწერთ ამ ნომერს A13 სვეტის იმ მწკრივში, სადაც მიხეილი არის ჩაწერილი. შესაბამისად, ჩვენ ვგებულობთ, რომ მიხეილის ნომერი AN1 სვეტში არის “3” და ვწერთ ამ ნომერს A13 სვეტის იმ მწკრივში, სადაც ბელა არის ჩაწერილი. საბოლოოდ, ჩვენ ვგებულობთ რომ რომანის ცოლი ამჟამად არ ცხოვრობს ოჯახში, ამდენად ვწერთ კოდს “21” A13 სვეტის იმ მწკრივში, სადაც რომანი არის ჩაწერილი.

ხოლო მე-6 რიგისთვის, სადაც ნიკა არის ჩაწერილი – ჩვენ ვიცით რომ ის არ არის დაქორწინებული და A13 სვეტში მისთვის არ უნდა იქონს კოდი.

ნომერი	სახელი	ნათესაური კავშირი ოჯახის უფროსთან	სქესი		ოჯახური მდგომარეობა		მეუღლე
AN1	A4	A5	A6		A9		A13
1	დავითი	1	1		2		2
2	ინა	2	2		2		1
3	მიხეილი	3	1		4		5
4	რომანი	3	1		3		21
5	ბელა	6	2		4		3
6	ნიკა	8	1		1		

### კითხვა A14a

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შინამეურნეობის ასეთ წევრებში ითვლებიან სტუდენტები რომლებიც სწავლობდნენ უნივერსიტეტში სხვა ქალაქში და ამგვარად რამდენიმე წელი გაატარეს ოჯახის გარეთ, მიუხედავად იმისა რომ ისინი ხშირად ჩამოდის ოჯახში და ასევე ჯარში წასული ახალგაზრდები.

### A1ცხრილის A15 სვეტი

ჩაწერეთ კოდ ‘1’ ოჯახის იმ წევრებისათვის რომლებმაც დატოვეს ოჯახი 1991 წლის შემდეგ 3 თვეზე მეტი პერიოდით და მერე უკან დაბრუნდნენ. არ დაწეროთ არანაირი კოდი ოჯახის იმ

წევრებისათვის, რომლებსაც არ დაუტოვებიათ ოჯახი 1991 წლის შემდეგ 3 თვეზე მეტი ხნით.

### **კითხვა A18**

ეს კითხვა ეხება დაბრუნებული მიგრანტის ბოლო საცხოვრებელ რეგიონს. იმ შემთხვევაში თუ მიგრანტმა მიგრაციის პერიოდში შეიცვალა რამოდენიმე ადგილი, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მისი ბოლო საცხოვრებელ ადგილი სადაც იგი ცხოვრობდა 3 თვეზე მეტ ხანს.

### **კითხვა A20**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ისინი ვინც წასულები არიან ჯარში არ ითვლებიან დასაქმებულად ამ შეკითხვის მიხედვით.

### **კითხვები A26-A37**

ამ კითხვებზე პასუხები უნდა ჩაიწეროს **A2 ცხრილის** შესაბამისი სვეტებში. ეს ცხრილი **რიგ რიგობით** უნდა შეივსოს. A1 ცხრილის მსგავსად, ყურადღებით მისდიეთ ინსტრუქციებს და რიგ რიგობით შეავსეთ ცხრილი, კითხვები ზუსტი თანმიმდევრობით დაუსვით. გაითვალისწინეთ, რომ ეს კითხვები ეხება ოჯახის ამ წევრების ბოლო წასვლას და მათ ამჟამინდელ მდგომარეობას. ჩვენ არ ვეკითხებით მათი ადრინდელი გადაადგილებებისა და ისტორიების შესახებ.

### **კითხვა A26**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ოჯახის უფროსი უნდა იყოს იგივე ადამიანი რაც **A5** კითხვის შემთხვევაში.

### **კითხვა A28**

ამ კითხვისთვის ჩვენ გვაქვს ბარათი (ბარათი 3), მაგრამ ეს ბარათი უნდა გამოიყენოთ მას შემდეგ როცა დარწმუნდებით რომ რესპონდენტი (რესპონდენტები) ვერ იხსენებს (იხსენებენ) შინამეურნეობის წევრის დაბადების დღეს. გთხოვთ ყველანაირად სცადეთ რომ მიიღოთ დაბადების წელი, და ეს ბარათი გამოიყენეთ მხოლოდ ამის შემდეგ.

### **კითხვები A38-A40**

ეს კითხვები არ არის ყველა რესპონდენტისათვის განკუთვნილი. ჰკითხეთ მხოლოდ იმ ოჯახებს რომლებსაც ჰყავთ საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრები, და ჰკითხოთ ოჯახის მიერ მიღებული ნებისმიერი სახის, ფულადი და არაფულადი დახმარებების შესახებ.

A39 და A40 კითხვებში “სხვა ოჯახები” ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ სისხლით ნათესავეებს, არამედ სხვა ოჯახებს, როგორებიც არიან მეგობრები, მეზობლები, და ა.შ. ამგვარი დახმარებები შეიძლება გამომგზავნელის მიერ იყოს გამიზნული სხვა ოჯახებისათვის, ან მათი განაწილება შესაძლოა იყოს მიმღების გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში (შემთხვევებში) თუ დახმარებები გამომგზავნელის მიერ იყო განკუთვნილი სხვა შინამეურნეობებისათვის და მათი გაზიარება არ ყოფილა მიმღების გადაწყვეტილება პასუხი ამ კითხვაზე იქნება „არა“, პასუხი უნდა მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გზავნილის გაზიარება იყო მიმღების გადაწყვეტილება.

### **თავი C. ოჯახის ეკონომიკური პირობები და ძვევა**

როცა მოგეთხოვებათ გადასვლა კითხვა C1-ზე, აუცილებლად წაუკითხეთ რესპონდენტს შეკითხვის წინ მოცემული ტექსტი.

#### **კითხვა C1, ცხრილი C1b**

შეეკითხეთ ნივთების შესახებ რიგ რიგობით; დაწერეთ შესაბამისი კოდი თითოეულ ნივთთან, და დაწერეთ ოჯახის მფლობელობაში არსებული ყველა ნივთისათვის უახლესი სახეობის შეძენის წელი.

ჩვენ მხოლოდ ის ნივთები გვაინტერესებს რომლებიც ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაში არიან, და გამოიყენება ოჯახის მიერ, ასე რომ თუკი ოჯახი ფლობს, მაგალითად, მაცივარს რომელიც არ მუშაობს მონიშნეთ იგი როგორც კოდი „2“, და ასეთ შემთხვევაში არ კითხულობთ მისი შეძენის წელს.

C1b ცხრილის შევსებისას, გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ მნიშვნელობა არ აქვს შეძენილი ნივთი ნახმარი იყო თუ ახალი, ან ის იქნა შეძენილი ოჯახის მიერ თუ მიიღეს როგორც საჩუქარი, ან მისი შეძენა მოხდა ნაღდი ფულის გადახდით კრედიტის საშუალებით, ან კრედიტი სრულად თუ არის დაფარული, ან ეს ნივთი იყო ნაჩუქარი. მთავარი რაც ჩვენ გვაინტერესებს არის, ფლობს თუ არა ოჯახი ნივთს, და თუ კი – რა დროიდან.

შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ოჯახს არ შეუძენია საგანი, მაგრამ მიიღო საჩუქრად, ან რაიმეში გაცვალა. ასეთ შემთხვევებში გამოიყენეთ კოდი ‘9997’.

#### **კითხვები C3 – C5**

C3- C5 კითხვები არის სამგზავრო და მცირე ზომის სატვირთო მანქანების შესახებ რომელთაც ოჯახი ფლობს. ჩვენ ვკითხულობთ

დიდი სატვირთო და სხვა არასამგზავრო მანქანების შესახებ C6 კითხვაში. მნიშვნელობა არ აქვს ეს მანქანები კრედიტით იქნა შეძენილი, ან ეს კრედიტი თუ არის სრულად დაფარული.

C5 კითხვაში, თუ რესპონდენტი დაასახელებს მანქანის მარკას, მაგრამ არ არის დარწმუნებული თუ სად არის წარმოებული, შემოსახეთ “98” კოდი (“არ ვიცი”). გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ აქ ჩვენ არ გვაინტერესებს იმ ქვეყნის დასახელება სადაც ეს მანქანა იქნა შეძენილი. ფოლკსვაგენი შესაძლოა შეძენილი იყო აშშ-ში, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ის ამერიკული მანქანა არის.

### **კითხვა C6**

„ტრაქტორით“, ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ ისეთ მანქანას, რომელის მართვაც არის შესაძლებელი და აქვს 3, 4, ან 6 ბორბალი.

### **კითხვა C7**

მიმდინარე საბანკო ანგარიშით, ჩვენ ვგულისხმობთ ის რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო როგორც „მიმდინარე ანგარიში.“

შემნახველი ანაბარით ჩვენ ვგულისხმობთ ის რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო როგორც „დეპოზიტი.“

### **კითხვები C9 – C11**

გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ C9-C11 კითხვები ეხება კომუნალური მომსახურების იმ სახეობებს, რომლებიც ოჯახებს მიეწოდება მუნიციპალიტეტის მიერ. ეს კითხვები არ არის მიწოდების ინდივიდუალურ სისტემებზე რომლებიც ადამიანს შეიძლება საკუთარი ხარჯებით ჰქონდეთ დამონტაჟებული საკუთარ სახლებში/ბინაში. ნებისმიერ მომსახურების შემთხვევაში „მიწოდებაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ოჯახს ტექნიკურად თუ მიეწოდება ეს მომსახურება და არ აქვს მნიშვნელობა ოჯახი იყენებს ამ მომსახურებას თუ არა.

ცხრილი C9 უნდა შეივსოს რიგ რიგობით. როცა ვეკითხებით „გმართებთ ფული“ ჩვენ გვაინტერესებს დავალიანება გადახდის ბოლო ვადის დასრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუკი ოჯახმა უნდა გადაიხადოს, მაგალითად გასული თვის წყლის დავალიანება, მაგრამ კიდევ აქვს ხუთ დღეზე მეტი გადახდის ბოლო ვადის დასრულებამდე, ეს არ ითვლება დავალიანებად.

როცა ვეკითხებით „გმართებთ ფული“ ჩვენ გვაინტერესებს დავალიანება გადახდის ბოლო ვადის დასრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუკი ოჯახმა უნდა გადაიხადოს, მაგალითად გასული თვის წყლის დავალიანება, მაგრამ კიდევ აქვს ხუთ დღეზე მეტი

გადახდის ბოლო ვადის დასრულებამდე, ეს არ ითვლება დავალიანებად.

### კითხვა C13

კლიმატ კონტროლის სისტემით (ვარიანტი 'A'), ჩვენ ვგულისხმობთ კედელში ჩამონტაჟებულ გასათბობ/გამაგრილებელ მოწყობილობას.

გაზის ღუმელში (ვარიანტი 'D'), იგულისხმება როგორც არასამრეწველო წარმოების ღუმელები, რომლებიც ათბობს გაზით, ასევე სამზარეულოს გაზის ქურები.

გაზის გამათბობელში (ვარიანტი 'E'), სამრეწველო წარმოების გაზის გამათბობელს (მაგ: კარმა).

### კითხვა C14

„მფლობელით” (ვარიანტი '3'), ჩვენ ვგულისხმობთ რომ ის არ შეიძლება იყოს ოჯახის წევრი. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები როდესაც სახელმწიფო არის ბინის მფლობელი (ჯერ არ არის პრივატიზებული). ასეთ შემთხვევებში, თუ რესპონდენტი თვლის რომ ეს ბინა არის მისი საკუთრება, პასუხი იქნება „ფლობთ” (კოდი '1'); თუმცა თუ რესპონდენტი გპასუხობთ, რომ ბინა არის სახელმწიფოს საკუთრება, პასუხი იქნება „არ ვიცი” (კოდი '98').

### კითხვა C15

ეს კითხვა ეხება მხოლოდ ე.წ. „საცხოვრებელ ფართს” – სამზარეულო (სამზარეულოები), აბაზანა (აბაზანები) გარაჟი (გარაჟები) და სხვა არ უნდა მიიღოს მხედველობაში.

### კითხვა C16

აგარაკით ან დასასვენებელი სახლით, ჩვენ ვგულისხმობთ საზაფხულო სახლს, რომელიც ოჯახის მიერ მხოლოდ დასასვენებლად გამოიყენება.

### კითხვა C18

„იჯარა” (ვარიანტები '1' და '3'), ნიშნავს რომ ოჯახი იხდის ფულს მიწის ამ ნაკვეთისთვის.

### კითხვა C20

გახსენებთ რომ ერთი ჰექტარი არის 0.000 კვადრატული მეტრი ან 100 100-ზე კვადრატული მეტრი. თუ ოჯახი ფლობს ჰექტარზე ნაკლებს, მძიმის წინ დაწერეთ '0' და ოჯახის მფლობელობაში მქონე მიწის ზომის შესაბამისი რიცხვი მძიმის შემდეგ.

მაგალითად, თუ ოჯახი ფლობს 1500 კვადრატულ მეტრს, ჩაწერეთ როგორც 0,15 ჰექტარი; თუ ოჯახი ფლობს 500 კვადრატულ მეტრს ჩაწერეთ როგორც 0,05 ჰექტარი.

### **კითხვა C22**

ამ კითხვით, ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ თუ ოჯახები რამდენად ახერხებენ საკვები მოთხოვნილებების თავად დაკმაყოფილებას. პროცენტული მაჩვენებელი უნდა იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაწერილი თითოეული ტიპის საკვებისათვის. ამდენად, პროცენტების ჯამური რაოდენობა არ არის აუცილებელი იყოს ზუსტად 100%-ის ტოლფასი.

### **კითხვები C23-C25, ცხრილი C23**

ეს ცხრილი თანმიმდევრობით უნდა შეივსოს. თუ შინამეურნეობა ფლობს ცხრილში ჩამოთვლილი შინაური ცხოველის სახეობის მხოლოდ ნაწილს, დაუსვით სამივე შეკითხვა იმ შინაური ცხოველის შესახებ, რომელსაც ფლობს და ჩაწერეთ პასუხები ცხრილის შესაბამის რიგსა და სვეტში. თუ ოჯახი არ ფლობს ცხრილში ჩამოთვლილი შინაური ცხოველის ზოგიერთ სახეობას, ჩაწერეთ '0' ცხრილის C23 სვეტის იმ რიგში სადაც შინაური ცხოველის ეს სახეობა არის მოცემული, და C24 და C25 სვეტებში შესაბამისი უჯრები ცარიელი დატოვეთ.

ამ ცხრილის ბოლო რიგში, ჩაწერილი უნდა იქნას შინაური ფრინველის ნებისმიერი სახეობა რომელსაც ოჯახი ფლობს (ქათამი, ინდაური და სხვა).

### **კითხვა C26**

ამ კითხვაში ისევ როგორც C22-ში პროცენტული მაჩვენებელი უნდა იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაწერილი თითოეული ტიპის საკვებისათვის. ამდენად, პროცენტების ჯამური რაოდენობა არ არის აუცილებელი იყოს ზუსტად 100%-ის ტოლფასი.

### **კითხვა C28**

ეს კითხვა ეფუძნება მხოლოდ ოჯახის აღქმას. მნიშვნელობა არ აქვს თუ ოჯახი ხორცს ყოველდღიურად მოიხმარს, თუ ოჯახის წევრებია მაინც თვლიან რომ ისინი ვერ იღებენ ხორცის საკმარის რაოდენობას და ამ პროდუქტს შეზღუდულად მოიხმარენ, მაშინ ეს შესაბამისად უნდა აღინიშნოს.

იმ შემთხვევაში თუ ოჯახი არ მოიხმარს საკვების კონკრეტულ სახეობას (მაგ: თუ არიან ვეგეტარიანელები) იხმარეთ კოდ '97' იმ საკვების მიმართებაში, რომელსაც ოჯახი არ მოიხმარს.

### **კითხვა C33**

იმ შემთხვევაში თუ შინამეურნეობის წევრებს ნება დართეს მეზობლად არსებული სასურსათო მაღაზიიდან საკვების ნისიად აღება, ისე რომ მათ ფულის გადახდა შეეძლოთ რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ ესეც ჩაითვლება ფულის სესხებად ამ კითხვასთან მიმართებაში.

### **კითხვები C32 და C34**

ეს კითხვები არის მთელი ოჯახის მთლიანი თვიური შემოსავლის და არა მარტო რესპონდენტის (რესპონდენტების) შემოსავლის შესახებ.

### **კითხვა C36**

ეს კითხვა ეხება ოჯახის საერთო წლიურ შემოსავალს. რესპონდენტებს შესაძლოა ჰქონდეთ პრობლემები პროცენტების დათვლასთან დაკავშირებით, ამდენად მიეცით მათ საკმარისი დრო.

### **კითხვები C38 და C39**

ეს კითხვები არის მთელი ოჯახის სრული წლიურ შემოსავლის და არა მარტო რესპონდენტის (რესპონდენტების) შემოსავლის შესახებ.

### **კითხვები C41 და C42**

ეს კითხვებიც ასევე მხოლოდ რესპონდენტების აღქმაზეა დამოკიდებული, ეხება მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, და არა მათ განათლებას, სოციალურ ან სხვა მდგომარეობას.

### **კითხვა T3**

შინამეურნეობის ინტერვიუს დასრულებისთანავე ჩაწერეთ ინტერვიუს დასრულებიდან დრო T3-ის ქვემოთ.

### **კითხვები W1-W8**

დაუყოვნებლივ შეავსეთ ეს ფორმა შინამეურნეობის ინტერვიუს დასრულების შემდეგ.

## ინდივიდუალური კითხვარის თავფურცელი

### თავფურცელის პირველი გვერდი

ეს გვერდი ძირითადად იმეორებს ინფორმაციას შინამეურნეობის კითხვარის თავფურცლიდან. გთხოვთ შეავსოთ ყველა გრაფა რომელიც ინტერვიუერის მიერ უნდა იქნას შევსებული, და მისდით მომდევნო გვერდზე მოცემულ ინსტრუქციებს.

### V11 და V12

ამ ნომრების შევსებას თქვენ შეძლებთ მხოლოდ მაშინ როდესაც შინამეურნეობის კითხვარის შევსება დასრულდება; თუმცა, არ დაგავიწყდეთ რომ ამ ცვლადების შევსება აუცილებელია.

### არგამოპასუხების ფურცელი

შეავსეთ ეს ფურცელი არგამოპასუხების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, თქვენ არ იწყებთ კითხვარის შევსებას.

## ნაწილი II: ინდივიდუალური კითხვარი

თქვენ გექნებათ ინდივიდუალური კითხვარის ორი ვერსია, ერთი არის ტიპი მ და მეორე ტიპი ქ. ერთადერთი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის არის შეიკითხვა S12 - მ ტიპში ეკითხება კაცის შესახებ და ქ ტიპში ქალის შესახებ. თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით კითხვარის ორივე ტიპის თანაბარი რაოდენობით. გთხოვთ, აუცილებლად შეცვალოთ ხოლმე ინდივიდუალური კითხვარი ყოველ მეორე ინტერვიუსთვის, თქვენი რესპონდენტის სქესის მიუხედავად. რესპონდენტმა არაფერო არ უნდა იცოდეს კითხვარის ამ ორი ტიპის შესახებ.

კვლავ, დარწმუნდით რომ ინდივიდუალური კითხვარის თავფურცლიდან გადმოიწეროთ **ქვეყნის კოდი / შინამეურნეობის საიდენტიფიკაციო ნომერი**.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ სხვა დღეს შეუთანხმდებით ოჯახს ინდივიდუალური ინტერვიუს ჩასატარებლად, ამ დღეს აუცილებლად თან იქონიეთ ამ ოჯახში შევსებული შინამეურნეობის კითხვარი, რადგან თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ რაიმე ინფორმაცია რაც უკვე გაქვთ და აუცილებელია რომ შეგეძლოთ შინამეურნეობის კითხვართან დაბრუნება.

ინდივიდუალური ინტერვიუსათვის რესპონდენტის შერჩევის შემდეგ, შეეცადეთ დაჯდეთ წყნარ და კომფორტულ ოთხში.

დარწმუნდით, რომ ოჯახის მხოლოდ ის წევრი იმყოფება ოთახში, რომელიც მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური კითხვარში. ჩაწერეთ ინტერვიუს თარიღი (კითხვა T4, თუნდაც ემთხვეოდეს T1-ის მონაცემს) და დრო რომელზეც ინდივიდუალური ინტერვიუ დაიწყო (კითხვა T5).

ინდივიდუალური ინტერვიუ შედგება რამოდენიმე თავისგან. ახალი თავის დაწყებისთანავე, გთხოვთ შეატყობინეთ რესპონდენტს ამის შესახებ, სიტყვათა შემდეგი წყობის გამოყენებით: „ახლა, მე მინდა შეგეკითხოთ განათლების შესახებ” და ა.შ.

## თავი G. ენა და ეთნიკური კუთვნილება

### კითხვები G1, G4a, G4b და G6

თქვენ არ უნდა წაიკითხოთ კითხვარში მოცემული ვარიანტები. ამ შეკითხვებზე მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

საქართველოში, თუ რესპონდენტები გიპასუხებთ „მეგრელი” ან „სვანი”, შემოხაზეთ „ქართველი” (კოდი “3”), რამდენადაც მეგრელები და სვანები არ განეკუთვნებიან სხვა ეთნიკური ჯგუფებს.

### კითხვები G2, G3a და G3b

გაითვალისწინეთ რომ ვარიანტი ‘4’ („ქართველური ჯგუფის სხვა ენა”) მართებული არის მხოლოდ საქართველოს შემთხვევაში.

საქართველოში, თუ რესპონდენტი გიპასუხებთ „მეგრული” ან „სვანური” ენა, შემოხაზეთ „ქართველური ჯგუფის სხვა ენა” (კოდი “4”).

### ცხრილები G3, G4, G5, G6, და G7

შეავსეთ ეს ცხრილები სვეტების მიყოლებით.

თქვენ ვერ გამოიყენებთ ვარიანტს „არ მიესადაგება” G3a სვეტში. ეს ვარიანტი შეიძლება გამოყენებული იქნას G3b სვეტში, იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი არც ერთ სხვა ენაზე არ საუბრობს სახლში.

### ცხრილი G4

შეავსეთ ეს ცხრილი სვეტების მიყოლებით.

## თავი J. დასაქმება

### კითხვა J1

„დასაქმებული“-თ ჩვენ გვეულისხმობთ არა მხოლოდ ოფიციალურად დასაქმებულს დამსაქმებელთან გაფორმებული წერილობითი კონტრაქტით, არამედ რესპონდენტის მიერ შესრულებულ ნებისმიერი სახის სამუშაოს, არაოფიციალური სამუშაოს ჩათვლით, რომლისათვისაც მან მიიღო ფულადი ანაზღაურება. ამ კონტექსტში თვითდასაქმებაც მიიჩნევა დასაქმების ფორმად, რადგანაც თვითდასაქმებული ადამიანი მუშაობს და ღებულობს შემოსავალს. ამდენად, ვაჭრები, მიიჩნევიან დასაქმებულად ისევე როგორც სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულები სხვა ადამიანები, რომლებიც ამაში იღებენ შემოსავალს.

### კითხვა J2

აქ ჩვენ გვაინტერესებს სამსახურების რაოდენობა რაც ამჟამად აქვს რესპონდენტს, ყველა სახის სამუშაოს ჩათვლით რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს (მუდმივი, დროებითი, ნახევარგანაკვეთიანი, სრულგანაკვეთიანი, ოფიციალური, არაოფიციალური და სხვა), თვითდასაქმების ჩათვლით – ნებისმიერი საქმიანობა რომელსაც მოაქვს ფულადი შემოსავალი.

### კითხვა J3

ჩვენ აქ გვაინტერესებს ორგანიზაცია/დაწესებულება სადაც რესპონდენტი მუშაობდა, და არა მისი დასაქმების ხანგრძლივობა ამ პოზიციაზე; იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი მუშაობდა მოცემულ დაწესებულებაში 2001 წლიდან, მაგრამ ამის შემდეგ რამდენჯერმე დააწინაურეს და მის ახლანდელ პოზიციაზე მუშაობს 2006 წლიდან, აქ უნდა დაიწეროს '2001'.

### კითხვა J4

იმ შემთხვევებში, თუ რესპონდენტს აქვს რამოდენიმე სამსახური, ჰკითხეთ მხოლოდ ძირითადი სამსახურის შესახებ. საერთოდ, ეს არის ადგილი სადაც მას აქვს მეტი შემოსავალი, ან ეს ადგილი არის ყველაზე სტაბილური ან მიიჩნევა მუდმივ სამუშაო ადგილად. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ ორივე კატეგორია თვითდასაქმებულისათვის (“1” და “2”) მოიცავს მხოლოდ მათ, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის მიწის ნაკვეთზე მუშაობა, იმისდა მიუხედავად ეს მათი საკუთრებაა თუ არა.

„ადგილოვრივ“ წარმოებით ვარიანტები “3” და “4”, ჩვენ ვგულისხმობთ ქვეყნის ან რეგიონის/ქალაქის შიგნით მოქმედ წარმოებას.

### **კითხვა J6**

ამ კითხვაზე მისაღებია მხოლოდ ერთი პასუხი.

თუ რესპონდენტი აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, მაგრამ იგი არ ყიდის ამ პროდუქტებიდან არც ერთს, პასუხი ამ კითხვაზე იქნება „სსვა“ (კოდი '10'). ასეთი ბევრი შემთხვევა იქნება გლეხების ინტერვიუს დროს.

### **კითხვა J8**

ამ შეკითხვაში „უმუშევარი“ ნიშნავს რომ რესპონდენტს არ აქვს სამსახური, მიუხედავად იმისა რესპონდენტი დარეგისტრირებულია თუ არა დასაქმების სააგენტოში.

### **ცხრილი J11**

შეავსეთ ეს ცხრილი სვეტების მიყოლებით

„არ მიესადაგება“ მხოლოს შეეხება ცხრილის მეორე სვეტს, რამდენადაც ეს შეკითხვა არ მიესადაგება პირველ სვეტს (ჩვენ ველით რესპონდენტისაგან დაასახელოს ერთი ამგვარი ფაქტორის მაინც, და თუნდაც მან ვერ შეძლოს პასუხის გაცემა, ჩვენ გვაქვს კოდები “98” და “99”).

## **თავი E. განათლება**

### **კითხვა E1**

დაწერეთ აკადემიური წლების რაოდენობა რომელთა განმავლობაში რესპონდენტი ჩართული იყო განათლებაში (რესპონდენტის მიერ აკადემიურ ინსტიტუტებში გატარებული), დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის ჩათვლით.

იმ შემთხვევაში თუ ინტერვალი იყო განათლების მიღების პროცესში, ეს ინტერვალი არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. მაგალითად, თუკი რესპონდენტმა დაასრულა 9 წელი სკოლაში და შემდეგ სამი წელი „ტექნიკუმში“, პასუხი იქნება  $(9+3)=12$  წელი“. თუ ადამიანი სწავლობდა 11 წელი, 1989-1990, საშუალო სკოლაში და გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში საშუალო სკოლის დასრულებისთანავე 5 წლით 1990-1995, განათლებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება  $(11+5)=16$  წელი“.

თუ ადამიანი სწავლობდა 11 წელი, 1989-1990, საშუალო სკოლაში, მერე დაიჭყო მუშაობა და 4 წლის მერე ჩააბარა უნივერსიტეტში, სადაც მან ისწავლა კიდევ 6 წელი, 1994-200, განათლებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება  $(11+6)=17$  წელი“.

თუმცა, ადამიანისათვის რომელიც სწავლობდა 11 წელი სკოლაში, გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში საშუალო სკოლის დასრულებისთანავე 5 წლით და შემდეგ გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტის პროგრამაში 4 წელი, ამ ადამიანისათვის განათლებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება  $(11+5+4)=20$  წელი.

თქვენ გევალებათ ჩაწერთ მხოლოდ წლების ჯამი, და არა მათი დაყოფა სკოლამდელ და სკოლის შემდგომ განათლებადა.

ამ შეკითხვაში, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ განათლებაზე დახარჯული წლების რაოდენობა, არ აქვს მნიშვნელობა რესპონდენტმა მიიღო ხარისხი თუ არა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ აქ ჩაწერთ შუალედი (მაგ.: 10-12 წელი) – თქვენ უნდა დაწერთ ერთი რიცხვი, რომელიც ასახავს რესპონდენტის მიერ განათლებაზე დახარჯული წლების რაოდენობას.

### **კითხვა E2**

აქ ჩვენ არ გვაინტერესებს საშუალო სკოლის დასწრება/დასრულება, რაც შეიძლება ახალგაზრდა რესპონდენტებმა ახსენონ.

### **კითხვა E3**

ვარიანტში '1', ჩვენ არ გვაინტერესებს ის რესპონდენტები, რომლებიც ესწრებიან თავიანთ პირველ საგანმანათლებლო პროგრამას, მაგ: საუნივერსიტეტო პროგრამას.

ვარიანტში '3', „სპეციალობის შეცვლა“ შეიცავს ვარიანტს „ახალი სპეციალობის მიღება.“

### **კითხვები E3 და E6**

თუ რესპონდენტი ესწრებოდა რამოდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას ბოლო 3 წლის განმავლობაში, დაუსვით ეს კითხვები ბოლო პროგრამების შესახებ.

### **კითხვა E9, ცხრილი E9**

ჰკითხეთ რიგ რიგობით და მიიღეთ ერთი პასუხი თითოეული რიგისათვის. შემოხაზეთ '1' თუ რესპონდენტს არ აქვს საწყისი ცოდნა შესაბამის საკითხში/სფეროში.

## **ცხრილი E12**

შეავსეთ ეს ცხრილი სვეტების მიყოლებით.

### **თავი H. ჯანმრთელობა**

#### **კითხვა H3a**

პასუხი ამ შეკითხვაზე უნდა იყოს „დიახ“, იმ შემთხვევაშიც თუ რესპონდენტი იყო სამეცინო დაწესებულებაში არა სამედიცინო დახამრებისათვის, არამეს მაგ: რომ მიელო რაღაც ღოკუმენტი.

#### **კითხვები H7 და H8**

H7-ში ჩვენ გვინტერესებს რესპონდენტის მიერ მის ჩვეულებრივი დღის საქმიანობის შეუსრულებლობა ავამდყოფობის ან დაზიანების გამო და ეს ეხება ყველა რესპონდენტს მიუხედავად იმისა ისინი დასაქმებულები არიან თუ არა. მაშინ როცა კითხვში H8 ჩვენ ვეკითხებით გააცდინეს თუ არა მათ სამსახური.

რესპონდენტმა შეიძლება გიპასუხოთ „2 დღე“ H7 კითხვაზე (რაც ნიშნავს რომ იგი თავს შეუძლოთ გრძნობდა და ვერ მუშაობდა პროდუქტიულად, თუ დასაქმებულია) და ‘0’ დღე H8 კითხვაზე (რაც ნიშნავს რომ მან არ გააცდინა სამსახური, მიუხედავად იმისა რომ ავად იყო).

#### **კითხვა H9**

თუ რესპონდენტი არ ეწევა, დაწერეთ ‘0’ და გამოტოვეთ H10 კითხვა.

#### **კითხვა H11**

იგულისხმება სასმელის 4 ან მეტი ჭიქა და არა ლიტრი, ბოთლი და ა. შ. ჭიქა შემდეგნაირად განისაზღვრება. ძლიერი ალკოჰოლისათვის ეს არის ერთი მოსმა. ღვინოსთვის ეს არის ერთი ღვინის ჭიქა და ლუდისთვის კი ერთი ბოთლი ლუდი.

#### **კითხვა H14**

განათლება „სექსის და ოჯახის შექმნის შესახებ“ ნიშნავს ინფორმაციას ჯანმრთელი სექსუალური ცხოვრების შესახებ.

## თავი S. სოციალური კაპიტალი

### კითხვა S3

ვარიანტში J („ვივასშმე რესტორანში“) ჩვენ გვაინტერესებს კონკრეტულად იყო ვახშმობს თუ არა რესპონდენტი რესტორანში, არ აქვს მნიშვნელობა ის თავისით წავიდა, ვინმემ დაპატიჟა, ან ეს მისთვის რეგულარული საქმიანობაა თუ არა. ეს ვარიანტი უნდა შემოხაზოთ იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტმა ივასშმა რესტორანში ბოლო 6 თვის განმავლობაში და არ აქვს მნიშვნელობა ზუსტ ვითარებას.

### კითხვა S7

აქ იგულისხმება რესპონდენტის გაიგივება რომელიმე რელიგიასთან და არა ოფიციალური წევრობა.

### კითხვა S9

„რელიგიური მსახურებით“ ჩვენ ვგულისხმობთ ფორმალურ რელიგიურ მსახურებას (ცერემონიებს).

### კითხვა S12

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, თქვენ გექნებათ კითხვარების ნახევარი კაცის შესახებ კითხვით და მეორე ნახევარი ქალის შესახებ. S12 ცხრილამდე, მოცემული გაქვთ წინასწარ კოდირებული სათანადო კოდი კითხვარში. არაფერი არ შეცვალეთ ამ კოდში.

ძალიან გთხოვთ არ გააკეთოთ არანაირი კორექტირება ამ კითხვარში, მხოლოდ კითხეთ ის რაც მოცემულია კითხვარში.

### კითხვა S13

შეავსეთ ეს ცხრილი **სვეტების მიყოლებით**.

ამ კითხვის დასმისას, თქვენ უნდა ჰკითხოთ სომხების შესახებ (კოდი 7) სომხეთში, აზერბაიჯანელების შესახებ (კოდი 8) აზერბაიჯანში და ქართველების შესახებ (კოდი 9) საქართველოში.

ყველა ქვეყანაში ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ უნდა იქნას დასმული კითხვები, გარდა საქართველოსთვის განკუთვნილი ბოლო ორი ეთნოსისა. თუკი თქვენ მუშაობთ საქართველოში, გთხოვთ იპოიხეოთ ამ ორი ეთნიკური ჯგუფის შესახებ. თუ თქვენ მუშაობთ საქართველოს ფარგლებს გარეთ, არ იპოიხეოთ ამ ორი ეთნიკური ჯგუფის შესახებ.

## თავი R. კრიმინალი

**კითხვა R1, ცხრილი R1**  
შეავსეთ რიგ რიგობით.

„არ მიესადაგება“ უნდა იქნას შემოხაზული მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი ვერ მოხვდა ცხრილში მოცემულ არცერთ ადგილზე, მაგალითად, მე-2 მწკრივში თუ რესპონდენტი ორივე არის - დაუსაქმებელი და არ არის სტუდენტი.

რიგი 4 („საზოგადოებრივ ან დასასვენებელ ადგილებში (თეატრი, რესტორანი, და ა.შ.“), იგულისხმება რომ რესპონდენტი თავისით დადის ამ ადგილებში და თან არავინ არ ახლავს, თუმცა ირგვლივ შეიძლება ბევრი ადამიანი იყოს, მაგრამ ისინი არ ასოცირდებიან რესპონდენტთან.

**კითხვა R2, ცხრილი R2**  
შეავსეთ რიგ რიგობით.

**კითხვა R6, ცხრილი R6**  
შეავსეთ რიგ რიგობით.

## თავი P. პოლიტიკური შეხედულებები

**კითხვა P5, ცხრილი P5**  
შეავსეთ სვეტების მიყოლებით.

გთხოვთ დარწმუნდეთ რომ რესპონდენტმა დაასახელოს ინფორმაციის 3 ყველაზე მნიშვნელოვან წყარო. მას შესაძლოა ჰქონდეს ინფორმაციის მეტი წყარო, მაგრამ მან უნდა დაასახელოს სამი ყველაზე მნიშვნელოვანი. შესაძლოა ზოგ შემთხვევებში რესპონდენტმა ერთი ან ორი წყაროს გარდა ვერ დაასახელოს სხვა წყაროები – ეს ნორმალურია. თუმცა თქვენ მაინც ჰკითხეთ მეორე და მესამე მნიშვნელოვან წყაროზეც. იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი ვერ ასახელებს ინფორმაციის მეორე და მესამე წყაროებს, შემოხაზეთ კოდი “97”, „არ მიესადაგება“. თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ სვეტში ერთზე მეტი პასუხი.

შეიგიძლიათ მიიღოთ თითოეული სვეტისთვის ერთ პასუხზე მეტი.

**კითხვა P6, ცხრილი P6**  
შეავსეთ სვეტების მიყოლებით.

### **კითხვა P7**

ამ კითხვით გვინტერესებს რესპონდენტის ცხოვრების მანძილზე მომხდარი რომელი პოლიტიკური მოვლენა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად. ეს მოვლენა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას შეიძლება მომხდარიყო, რესპონდენტის სიცოცხლის ნებისმიერ პერიოდში.

ეს არის ერთადერთი კითხვა რომელიც არ არის წინასწარ კოდირებული და გთხოვთ ჩაიწეროთ თქვენ რესპონდენტის პასუხი მისივე სიტყვების გამოყენებით, თუნდაც პასუხი უცნაური მოგეჩვენოთ. ასევე ჰკითხეთ წელი და ადგილი სადაც ეს ფაქტი მოხდა. თუ რესპონდენტის პასუხი ძალიან ვრცელია, სთხოვეთ მას მოგაწოდოთ მოკლე პასუხი, რომლის ჩაწერასაც შეძლებთ.

ჩვენ გთხოვთ გამოიყენოთ ისეთი ხელწერა, რომელიც უცხო სათვის ადვილად გასაგები იქნება, რამდენადაც სხვა ადამიანები იქნებიან დაკავებული ამ კითხვაზე პასუხების ანალიზით.

### **კითხვა P8**

აქ მიესადაგება ორივე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც იმ ქვეყანაში სადაც ინტერვიუს ატარებთ ბოლოს გაიმართა. თუმცა ეს კითხვა, არ ეხება ადგილობრივ არჩევნებს.

### **კითხვა P9**

არ წაიკითხოთ კითხვარში მოცემული ვარიანტები – თქვენი მხრიდან ყოველგვარი დახმარების გარეშე რესპონდენტმა უნდა გასცეს პასუხი. თქვენ არ უნდა მიიღოთ ორზე მეტი პასუხი, ამდენად იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი დაასახელებს არჩევნებში არ მონაწილეობის ორზე მეტ მიზეზს, სთხოვეთ მას დაასახელოს მხოლოდ არა უმეტეს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი.

### **კითხვები P14 და P15, ცხრილი P14**

შეავსეთ სვეტების მიყოლებით.

პირველად, ჰკითხეთ რესპონდენტს მის დამოკიდებულებაზე ეკონომიკურ (P14) და პოლიტიკურ (P15) თანამშრომლობის შესახებ P14 ცხრილში ჩამოთვლილ 9 ქვეყანასთან (გაერთიანებულსთან).

რესპონდენტმა უნდა მოათავსოს თავისი დამოკიდებულება შკალაზე 1-დან 10-ის ჩათვლით, სადაც 1 ნიშნავს „არანაირ თანამშრომლობას“ და 10 „სრულ თანამშრომლობას“. თქვენ არ უნდა ახსენოთ რესპონდენტთან კოდები “98” და “99”, გამოიყენეთ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი ვერ მოიფიქრებს, ან

უარს ამბობს რომ ამ კითხვას გასცეს პასუხი მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში.

ჰკითხეთ თანმიმდევრობით P14 ცხრილში ჩამოთვლილ ქვეყნებზე და დაასახელეთ შემდეგი ქვეყანა მას შემდეგ რაც თქვენ მიიღებთ პასუხს წინაზე. ყველა პასუხი უნდა იყოს ჩაწერილი P14 ცხრილის შესაბამის სვეტში.

მნიშვნელოვანია: P 14 ცხრილის ბოლოს, ჩვენ ვკითხულობთ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების შესახებ. კითხვარი არის ერთნაირი ყველა ქვეყნისათვის, ასე რომ ცხრილში მოცემულია სამივე სახელმწიფო. თუმცა, თქვენ არ უნდა ჰკითხოთ იმ ქვეყანაზე სადაც ინტერვიუ ტარდება. მაგალითად, თუ ინტერვიუ ტარდება საქართველოში, თქვენ არ უნდა იკითხოთ დამოკიდებულებაზე საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ, იმისდა მიუხედავად თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენელს უტარებთ ინტერვიუს.

### **კითხვა P16**

მნიშვნელოვანია: ამ შეკითხვის დასმისას, თქვენ უნდა დაასახელოთ ქვეყნის, სადაც ინტერვიუ ტარდება მხოლოდ უმრავლესობის ენა: სომხური სომხეთში, აზერბაიჯანული აზერბაიჯანში, ქართული საქართველოში, მიუხედავად იმისა თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენელს უტარებთ ინტერვიუს.

ინდივიდუალური ინტერვიუს დასრულებისთანავე ჩაწერეთ ინტერვიუს დასრულების დრო **T6**-ის ქვემოთ.

### **კითხვა P19, ცხრილი P19**

ცხრილი შეავსეთ რიგ რიგობით.

### **კითხვა T6**

ინდივიდუალური ინტერვიუს დასრულებისთანავე ჩაწერეთ ინტერვიუს დასრულების დრო **T6**-ის ქვემოთ.

### **კითხვები W9-W18**

დაუყოვნებლივ შეავსეთ ეს ფორმა შინამეურნეობის ინტერვიუს დასრულების შემდეგ.

## **სექცია B: კორუფცია**

### **კითხვები B1 და B2**

ამ კითხვებში არ წაიკითხოთ ვარიანტი #3

### **ცხრილები B3 და B4**

ინტერვიუების ჩატარების დროს, მოცემულ სიაში წაიკითხეთ სფეროები სხვადასხვა თანმიმდევრობით ყოველ მეორე ინტერვიუში: თუ თქვენი პირველი ინტერვიუს დროს, სფეროებს რომლებიც ჩამოთვლილია B3 ცხრილში თქვენ წაიკითხავთ 1-დან 14-ის ჩათვლით, მაშინ მეორე ინტერვიუს დროს წაიკითხეთ 14-დან 1-ის ჩათვლით; შემდეგ ისევ 1-დან 14-ის ჩათვლით მესამე ინტერვიუს დროს და ა.შ. იგივე ეხება B4 ცხრილში მოთავსებულ სიას. ორივე ცხრილი შეავსეთ რიგ რიგობით.

### **კითხვები B5.1 და B5.2**

ვარიანტი 'C' ნიშნავს რომ არ არის მილსადენის წყალი.

### **ცხრილი B5**

შეავსეთ სვეტების მიყოლებით.

## **ინდივიდუალური ინტერვიუს რესპონდენტის შინამეურნეობის წევრის ნომერი**

აუცილებლად უნდა შეავსოთ კითხვარის ეს ნაწილი ორივე ინტერვიუს დასრულებისთანავე ამ შინამეურნეობაში.

დარწმუნდით რომ შინამეურნეობის ინტერვიუ ამ შინამეურნეობაში არის დასრულებული. დაკვირვებით მისდიეთ ინსტრუქციებს ამ კითხვარის ამ ნაწილში.